

**საქართველოს ადგილობრივი თვითმმართველობის ეროვნული
ასოციაცია**

**საქართველოს ორგანულ კანონში “ადგილობრივი
თვითმმართველობის კოდექსში” შესატანი ცვლილებების
შესახებ საკონსულტაციო შეხვედრების
შემაჯამებელი ოქმი**

კახეთის რეგიონალური შეხვედრა - ქალაქი თელავი

3 აპრილი 2017

რეგიონალურ შეხვედრას ესწრებოდნენ დავით ჭიქია, დავით მელუა, ექსპერტები დავით ზარდიაშვილი, მიხეილ ჭიბუტი, დავით ბასიაშვილი და გაეროს განვითარების პროექტის ექსპერტი ალექსანდრე სვანიშვილი. ასევე კახეთის რეგიონის მუნიციპალიტეტების მერები/გამგებლები და საკრებულოს თავმჯდომარეები, ასევე კახეთის რეგიონის გუბერნატორი, ადგილობრივი მედია.

შეხვედრა გახსნა ბატონმა დავით ჭიქიამ მან აღნიშნა, რომ საქართველოს ხელისუფლება აგრძელებს დეცენტრალიზაციას და ადგილობრივი დემოკრატიის განვითარებას და ამ მიზნით სამინისტროს (რეგიონული განვითარების და ინფრასტრუქტურის) ახალმა ხელმძღვანელობამ შექმნა სამუშაო ჯგუფი, რომელმაც უნდა მოამზადოს ცვლილებები საქართველოს ორგანულ კანონში “ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი”. დავით მელუამ აღნიშნა რომ, სამუშაო ჯგუფები მუსაობენ 4 მიმართულებით, ესენია: მმართველობითი სისტემის და ფინანსური ეფექტიანობის გაზრდა, მოქალაქეთა მონაწილეობის გაზრდა ადგილობრივი თემების დონეზე, სამართლებრივი ზედამხედველობის სისტემის სრულყოფა და ადგილობრივი თვითმმართველობის შიდა ორგანიზაციული სტრუქტურის სრულყოფა. დავით მელუამ აღნიშნა რომ, მოწვეული ექსპერტები ყველა ამ მიმართულებაზე გააკეთებდნენ პრეზენტაციას და თვითმმართველობის წარმომადგენლებს სთხოვა გამოეთქვათ საკუთარი მოსაზრებები.

დავით ზარდიაშვილმა წარმოადგინა მოხსენება ტერიტორიული მართვის საკითხებზე და მათ შორის ცალკეული დასახლებული პუნქტებისთვის, 2014 წელს თვითმმართველი ქალაქის სტატუსის მინიჭების გამოცდილების შესახებ (პრეზენტაცია იხილეთ დანართში).

პრეზენტაციის შემდეგ სიტყვით გამოვიდა თვითმმართველი ქალაქის თელავის მერი პლატონ კალმახელიძე, რომელმაც აღნიშნა რომ 2014 წლიდან ქალაქში მრავალი წარმატებული პროექტი განხორციელდა

და ცალკე ერთეულად გამოყოფამ ქალაქზე კეთილისმყოფელი გავლენა მოახდინა. მან ასევე აღნიშნა რომ ვერ დაეთანხმება ხარჯების არაეფექტურობის არგუმენტს, მისი თქმით თელავი ადმინისტრაციული ხარჯების მაჩვენებლით ერთ-ერთი ყველაზე დაბალია საქართველოში. მან ასევე აღნიშნა რომ ქალაქი თელავი ისტორიული ქალაქია, ამიტომაც 2014 წელს საზოგადოება დიდი აღფრთოვანებით შეხვდა ქალაქში თვითმმართველობის დაბრუნებას და ახლა მისი წართმევა მოქალაქეების მხრიდან არ იქნება მხარდაჭერილი და შესაბამისად ამ ინიციატივას მხარს ვერც თელავის მოსახლეობის მიერ არჩეული მერი და საკრებულო ვერ დაუჭერს მხარს. თუმცა მანვე აღნიშნა რომ საბოლოო გადაწყვეტილებას როგორც თვითონ, ასევე საკრებულოც მას შემდეგ მიიღებს რაც საქართველოს მთავრობისგან მიიღებს არგუმენტირებულ მოსაზრებას ქალაქ თელავთან მიმართებაში. მან ასოციაციაციას სთხოვა რომ საქართველოს მთავრობასთან დააყენოს მოთხოვნა რომ, 7 თვითმმართველი ქალაქის სტატუსი გადაწყდეს ინდივიდუალურად და თითოეული ამ ქალაქის სპეციფიკა ცალკე იქნეს განხილული.

კახეთის მხარის გუბერნატორმა ირაკლი ქადაგიშვილმა აღნიშნა, რომ ამ საკითხებზე მიმდინარეობს მხოლოდ აზრების გამოთქმა და რაიმე გადაწყვეტილებაზე საუბარი ჯერ კიდევ ნაადრევია. როდესაც იქნება მომზადებული გადაწყვეტილების პროექტები შემდეგ მოხდება ამ საკითხების დეტალური განხილვა ადგილზე.

თელავის თემის გამგებელმა ალექსანდრე შათირიშვილმა აღნიშნა რომ, აუცილებელია თვითმმართველობის შემდგომი გაძლიერება და ისეთი საკითხების გადაჭრა როგორცაა: ქონების გადაცემა, მათ შორის სასოსოფლო-სამეურნეო მიწის საკითხის გადაჭრა.

შემდეგი პრეზენტაცია გააკეთა მიხეილ ჯიბუტმა. რაც შეეხებოდა სოფლად მოსახლეობის მონაწილეობის გაძლიერებას და სოფლებში ტერიტორიული ორგანოს დაბრუნებას და მრჩეველთა საბჭოს შექმნას.

მონაწილეებმა მხარი დაუჭირეს ამ ინიციატივას და აღნიშნეს რომ სოფლებში ტერიტორიული ორგანოების შექმნა ერთობ გააიოლებდა მართვის პროცესს და ასევე მოწონებულ იქნა, მრჩეველთა საბჭოს, როგორც ადგილობრივი საკონსულტაციო ორგანოს არსებობა.

განსხვავებული აზრი გამოთქვა ლაგოდეხის გამგებელმა კახა ჯამბურიამ მან აღნიშნა, რომ ვერ დაეთანხმება ე.წ. სოფლის კრებების მიმართ გამოთქმულ კრიტიკას და შეფასებებს, რომ მათ ფიქტიური ხასიათი ჰქონდათ. მან აღნიშნა რომ სოფლის კრებების კუთხით წარმატების მაგალითია ლაგოდეხის მუნიციპალიტეტი სადაც არასამთავრობო ორგანიზაციებთან პარტნიორობით მოხდა სოფლის

კრებების ჩატარება და რჩეულების დასახელება, შესაბამისად ეს ინსტრუმენტი მშვენივარდ მუშაობს სოფლებში, აღნიშნა ბატონმა გამგებელმა.

ალექსანდრე სვანიშვილმა გააკეთა მოსხსენება სამართლებრივი ზედამხედველობის სისტემის ცვლილების შესახებ და აღნიშნა რომ ამ სისტემაში კვლავ ბრუნდება გუბერნატორის როლი და ფუნქცია რომელიც იქნება გამტარი რგოლი თვითმმართველობასა და ცენტრალურ ხელისუფლებას შორის.

მონაწილეებმა აღნიშნეს რომ, გუბერნატორის აპარატში ზედამხედველობის ფუნქციის დაბრუნება მნიშვნელოვნად გააიოლებს თვითმმართველობის სამართლებრივი აქტების ზედამხედველობას და დიდ დროს დაზოგავს.

დავით ბარდიაშვილმა წარმოადგინა მოსაზრება ადგილობრივი ხელისუფლების ორგანოს სტრუქტურის მოდიფიკაციის და კოლეგიური ორგანოს გამგეობის შექმნის შესახებ.

შეხვედრის მონაწილეებმა აღნიშნეს რომ, კოლეგიური ორგანიზაციის შემოღება მხოლოდ მაშინ იქნება გამართლებული თუ ის დაკომპლექტდება აღმასრულებელი შტოს განყოფილების უფროსებით და ვიცე მერებით. მერების აბსოლიტურმა უმრავლესობამ აღნიშნა რომ, საკრებულოს წევრების შემოყვანა გამგეობაში გაართულებს გადაწყვეტილების მიღებას.

დასკვნის სახით მონაწილეები შეთანხმდნენ რომ, ასოციაციამ წარმოადგინოს საკუთარი წინადადებები დეცენტრალზაციის შემდგომი გაღრმავების კუთხით და ასევე ითანამშრომლოს ხელისუფლებასთან რომ 7 ქალაქის სტატუსი იქნეს განხილული ინდივიდუალურად და თითოეულ ქალაქზე მომზადდეს შესაბამისი დასაბუთება. შეხვედრა გაშუქდა ადგილობრივი პრესით და მასმედდით

მცხეთა-მთიანეთის რეგიონული შეხვედრა - ქალაქი მცხეთა

4 აპრილი 2017

რეგიონულ შეხვედრას ესწრებოდნენ დავით მელუა, ასევე ექსპერტები დავით ბარდიაშვილი, მიხეილ ჯიბუტი, დავით ბასიაშვილი და გაეროს განვითარების პროექტის ექსპერტი ალექსანდრე სვანიშვილი. ასევე რეგიონის მუნიციპალიტეტების მერები/გამგებლები და საკრებულოს თავმჯდომარეები და სამხარეო ადმინისტრაციის წარმომადგენლები.

შეხვედრა გახსნა ბატონმა დავით მელუამ მან აღნიშნა, რომ საქართველოს ხელისუფლება აგრძელებს დეცენტრალიზაციას და ადგილობრივი დემოკრატიის განვითარებას და ამ მიზნით სამინისტროს (რეგიონული განვითარების და ინფრასტრუქტურის) ახალმა ხელმძღვანელობამ შექმნა სამუშაო ჯგუფი, რომელმაც უნდა მოამზადოს ცვლილებები საქართველოს ორგანულ კანონში “ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი”. დავით მელუამ აღნიშნა რომ, სამუშაო ჯგუფები მუშაობენ 4 მიმართულებით, ესენია: მმართველობითი სისტემის და ფინანსური ეფექტიანობის გაზრდა, მოქალაქეთა მონაწილეობის გაზრდა ადგილობრივი თემების დონეზე, სამართლებრივი ზედამხედველობის სისტემის სრულყოფა და ადგილობრივი თვითმმართველობის შიდა ორგანიზაციული სტრუქტურის სრულყოფა. დავით მელუამ აღნიშნა რომ, მონვეული ექსპერტები ყველა ამ მიმართულებაზე გააკეთებდნენ პრეზენტაციას და თვითმმართველობის წარმომადგენლებს სთხოვა გამოეთქვათ საკუთარი მოსაზრებები.

დავით ბარდიაშვილმა წარმოადგინა მოხსენება ტერიტორიული მართვის საკითხებზე და მათ შორის ცალკეული დასახლებული პუნქტებისთვის, 2014 წელს თვითმმართველი ქალაქის სტატუსის მინიჭების გამოცდილების შესახებ.

პრეზენტაციის შემდეგ სიტყვით გამოვიდა თვითმმართველი ქალაქის მცხეთის მერი ავთანდილ ნემსინვერიძე რომელმაც აღნიშნა, რომ ვერ ხედავს დიდ ადმინისტრაციულ პრობლემებს ქალაქის და თემის მუნიციპალიტეტების გაერთიანებაში, თუმცა ადგილობრივი საზოგადოების ინტერესიც გასათვალისწინებელია. აქ არის პოლიტიკური მომენტი, ერთის მხრივ ოპოზიციური პარტიების მხრიდან ხდება ამ საკითხის პოლიტიზაცია და მეორეს მხრივ დასაქმებული ადგილების მხრიდან ამ საკითხის მიუღებლობა და შიში რომ სამსახურს დაკარგავენ.

მცხეთის თემის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარემ ჯემალ სოლოლაშვილმა აღნიშნა, რომ დაუშვებელია საჯარო სექტორში სამუშაო ადგილების შემცირება, რასაც ნეგატიური გავლენა ექნება. საკრებულოს თავმჯდომარემ ასევე აღნიშნა რომ ხშირ შემთხვევაში თვითმმართველობას ფორმალური ხასიათი აქვს და ყველაფერს სამინისტროები წყვეტენ. მანვე აღნიშნა რომ განათლების სამინისტროდან მიიღეს დირექტივა რომ განახორციელონ სკოლებზე მეთვალყურეობა, თუმცა გაუგებერია საიდან უნდა დააფინანსონ სკოლების დახმარება.

დუშეთის მუნიციპალიტეტის გამაგებელმა ვაჟა ჩოხემლა დააყენა თვითმმართველობების ფინანსური დამოუკიდებლობის და

ცენტრალური ხელისუფებიდან (კერძოდ შემოსავლების სამსახურიდან) მონაცემების მიღების გართულებული პროცედურების შესახებ. მან აღნიშნა რომ დუშეთში 100% ით გაიზარდა ადგილობრივი შემოსავლები, მაგრამ მათი სწორი დაგეგმვისთვის ძალზე გაუჭირდათ შემოსავლების სამსახურიდან მონაცემების მიღება ადგილობრივი ინდივიდუალური მენარმეებისა და ბიზნესზე რიცხული ქონების შესახებ.

შემდეგი პრეზენტაცია გააკეთა მიხეილ ჯიბუტმა, რაც შეეხებოდა სოფლოდ მოსახლეობის მონაწილეობის გაძლიერებასა და სოფლებში ტერიტორიული ორგანოს დაბრუნებას და მრჩეველთა საბჭოს შექმნას.

მონაწილეებმა მხარი დაუჭირეს ამ ინიციატივას და აღნიშნეს რომ სოფლებში ტერიტორიული ორგანოების შექმნა ერთობ გააიოლებდა მართვის პროცესს და ასევე მონონებულ იქნა, მრჩეველთა საბჭოს, როგორც ადგილობრივი საკონსულტაციო ორგანოს არსებობა.

აზრი გამოთქვა ბატონმა ვაჟა ჩოხელმა - მან მხარი დაუჭირა სოფლებში ტერიტორიული ორგანოს დაბრუნებას და აღნიშნა რომ დუშეთის მუნიციპალიტეტის ტერიტორია მეტია აჭარის ა.რ. ტერიტორიაზე და აქ არის დაცილებული სოფლები სადაც ერთი წარმომადგნლით მართვა ვერ განხორცილდება ამიტომაც ტერიტორიული ორგანოს დაბრუნება სოფლებში და სათათბროს მსგავსი საკონსულტაციო ორგანოს შემოღება ტერიტორიულ ერთეულის ადმინისტრაციასთან მართვას გააიოლებს და მოსახლეობის მიერ პოზიტიურად იქნება აღქმული.

ალექსანდრე სვანიშვილმა გააკეთა მოსხსენება, სამართლებრივი ზედამხედველობის სისტემის ცვლილების შესახებ და აღნიშნა რომ ამ სისტემაში კვლავ ბრუნდება გუბერნატორის როლი და ფუნქცია, რომელიც იქნება გამტარი რგოლი თვითმმართველობასა და ცენტრალურ ხელისუფლებას შორის.

მონაწილეებმა აღნიშნეს რომ გუბერნატორის აპარატში ზედამხედველობის ფუნქციის დაბრუნება მნიშვნელოვნად გააიოლებს თვითმმართველობის სამართლებრივი აქტების ზედამხედველობას და დიდ დროს დაზოგავს.

დავით ზარდიაშვილმა წარმოადგინა მოსაზრება, ადგილობრივი ხელისუფლების ორგანოს სტრუქტურის მოდიფიკაციის და კოლეგიური ორგანოს გამგეობის შექმნის შესახებ.

მონაწილეებმა აღნიშნეს რომ, კოლეგიური ორგანიზაციის შემოღება მხოლოდ მაშინ იქნება გამართლებული თუ ის დაკომპლექტდება აღმასრულებელი შტოს განყოფილების უფროსებით და ვიცე მერებით. მერების აბსოლიტურმა უმრავლესობამ აღნიშნა რომ, საკრებულოს

წევრების შემოყვანა გამგეობაში გაართულებს გადაწყვეტილების მიღებას. ასევე მერების უმრავლესობის დამოკიდებულება იყო ის რომ, უნდა შენარჩუნდეს ძლიერი მერის ინსტიტუტი, გასხვევებული აზრი გამოთქვა ღუშეთის გამგებელმა, რომელმაც აღნიშნა რომ სუსტი მერის ინსტიტუტში ვერ ხედავს ვერანაირ საფრთხეს და საპარლამენტო რესპუბლიკის პრირობებში შეიძლება სუსტი მერის ინსტიტუტი უფრო უპრობანი იყოს.

დასკვნის სახით მონაწილეები შეთანხმდნენ რომ, ასოციაციამ წარმოადგინოს საკუთარი წინადადებები დეცენტრალიზაციის შემდგომი გაღრმავების კუთხით და ასევე ითანამშრომლოს ხელისუფლებასთან რომ, 7 ქალაქის სტატუსი იქნეს განხილული ინდივიდუალურად და ქალაქ მცხეთაზე მომზადდეს ცალკე დასაბუთება.

ქვემო ქართლის რეგიონული შეხვედრა - ქალაქი რუსთავი

5 აპრილი 2017

რეგიონულ შეხვედრას ესწრებოდნენ რეგიონის გუბერნატორი პაატა ხიზანიშვილი, დავით ჭიქია, დავით მელუა, ასევე ექსპერტები დავით ბარდიაშვილი, მიხეილ ჭიბუტი, დავით ბასიაშვილი და გაეროს განვითარების პროექტის ექსპერტი ალექსანდრე სვანიშვილი. ასევე რეგიონის მუნიციპალიტეტების მერები/გამგებლები და საკრებულოს თავმჯდომარეები, რეგიონის გუბერნატორი, ასევე ადგილობრივი მედიის და საზოგადოების წარმომადგენლები

შეხვედრა გახსნა ბატონმა დავით ჭიქიამ მან აღნიშნა, რომ საქართველოს ხელისუფლება აგრძელებს დეცენტრალიზაციას და ადგილობრივი დემოკრატიის განვითარებას და ამ მიზნით სამინისტროს (რეგიონული განვითარების და ინფრასტრუქტურის) ახალმა ხელმძღვანელობამ შექმნა სამუშაო ჯგუფი, რომელმაც უნდა მოამზადოს ცვლილებები საქართველოს ორგანულ კანონში “ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი”. დავით მელუამ აღნიშნა რომ, სამუშაო ჯგუფები მუშაობს 4 მიმართულებით, ესენია: მმართველობითი სისტემის და ფინანსური ეფექტიანობის გაზრდა, მოქალაქეთა მონაწილეობის გაზრდა ადგილობრივი თემების დონეზე, სამართლებრივი ბედამხედველობის სისტემის სრულყოფა და ადგილობრივი თვითმმართველობის შიდა ორგანიზაციული სტრუქტურის სრულყოფა. დავით მელუამ აღნიშნა რომ, მოწვეული ექსპერტები ყველა ამ მიმართულებაზე გააკეთებდნენ პრეზენტაციას და თვითმმართველობის წარმომადგენლებს სთხოვა გამოეთქვათ საკუთარი მოსაზრებები.

დავით ბარდიაშვილმა წარმოადგინა მოხსენება ტერიტორიული მართვის საკითხებზე და მათ შორის ცალკეული დასახლებული

პუნქტებისთვის 2014 წელს თვითმმართველი ქალაქის სტატუსის მინიჭების გამოცდილების შესახებ.

პრეზენტაციის შემდეგ, სიტყვით გამოვიდა თვითმმართველი ქალაქის რუსთავის მერი დავით ჭიქია, რომელმაც აღნიშნა რომ ამ საკითხებზე მიმდინარეობს მხოლოდ აზრების გამოთქმა და რაიმე გადაწყვეტილებაზე საუბარი ჯერ კიდევ ნაადრევია. როდესაც იქნება მომზადებული გადაწყვეტილების პროექტები შემდეგ მოხდება კიდევ ერთი შეხვედრა და მსჯელობა ამ საკითხებზე. მთავარია რომ გაერთიანებულ მუნიციპალიტეტებს არ შეუმცირდეთ დაფინანსება.

ბოლნისის თემის მუნიციპალიტეტის გამგებელმა დავით შერაზადიშვილმა აღნიშნა რომ, თვითმმართველობა უნდა გახდეს რეალურად დამოუკიდებელი. ძალზე ბევრი გადაწყვეტილება საჭიროებს შეთანხმებას სამინისტროებთან და ეს ყველაფერი ძალზე დიდ დროს მოითხოვს. იგივე ეხება სახელმწიფო შესყიდვებს, ძალზე ბევრი ტენდერი დროში იწელება და შემდეგ ეს ყველაფერი დასაქმებაზე ძალზე ნეგატიურად მოქმედებს.

წალკის მუნიციპალიტეტის გამგებელმა ილია საბაძემ აღნიშნა რომ, არ სრულდება კანონის 107-ე მუხლი და იუსტიციის სამინისტრო მოთხოვნის შემთხვევაში არ ურეგისტრირებს თვითმმართველობას ქონებას. და ეს აუცილებლად უნდა შეიცვალოს.

დავით ჭიქიამ აღნიშნა რომ უნდა მოხდეს ადგილობრივი თვითმმართველობების ფინანსების გაზრდა და გათანაბრების ფორმულის რედაქტირება. კერძოდ, ადგილობრივი შემოსავლების მობილიზაცია და გაზრდა არ უნდა იწვევდეს გათანაბრებითი ტრანსფერის შემცირებას. ადგილობრივი გადასახადების კომპონენტი არ უნდა იყოს ჩათვლილი გათანაბრებითი ტრანსფერის გამოთვლაში.

ბოლნისის თემის გამგებელმამ დავით შერაზადიშვილმა ასევე დააყენა სასოფლო სამეურნეო მიწის თვითმმართველობებისთვის გადაცემის საკითხი, მან აღნიშნა რომ ბოლო სამი წლის განმავლობაში 30 ჰექტარი მიწაა პრივატიზებული და ძალიან ბევრ შემთხვევაში ეს მიწები სადვო არის სოფლის მოსახლეობასთან.

რუსთავის მერმა ასევე დააყენა კვალიფიციური კადრების სიმცირის პრობლემა და აღნიშნა რომ, ერთის მხრივ არ ხდება მოსამსახურეების გადამზადება და მეორეს მხრივ ხელფასის ნაკლებობის გამო ისნი ძირითადად თბილისში მიდიან და იქ იწყებენ მუშაობას. ახლა ხდება დანამატის გამოყენება რომ შეინარჩუნონ კვალიფიციური მოხეველები და თუ დანამატები გაუქმდება ამ ხალხის შენარჩუნება შეუძლებელი იქნება.

მარნეულის თემის მუნიციპალიტეტის გამგებელმა მერაბ თოფჩიშვილმა აღნიშნა რომ აუცილებელია სანქციის გამკაცრება უკანონო მშენებლობაზე, ვინაიდან არსებულ ჯარიმას (200 ლარი) დამრღვევი იხდის და ისევ აგრძელებს უკანონო მშენებლობას, ამტომაც აუცილებელია რომ თვითმმართველობას ჰქონდეს ჯარიმის ოდენობის განსაზღვრის უფლება.

შემდეგი პრეზენტაცია გააკეთა მიხეილ ჯიბუტმა, რაც შეეხებოდა სოფლის მოსახლეობის მონწილეობის გაძლიერებას და სოფლებში ტერიტორიული ორგანოს დაბრუნებას და მრჩეველთა საბჭოს შექმნას.

მონაწილეებმა მხარი დაუჭირეს ამ ინიციატივას და აღნიშნეს რომ, სოფლებში ტერიტორიული ორგანოების შექმნა ერთობ გააიოლებდა მართვის პროცესს და ასევე მონონებულ იქნა მრჩეველთა საბჭოს, როგორც ადგილობრივი საკონსულტაციო ორგანოს არსებობა. თუმცა მარნეულის და ბოლნისის გამგებლების მხირდან გამოითქვა ვარაუდი რომ ამ ინსტრუმენტის ამოქმედება მათი მუნიციპალიტეტების სოფლებში მრავალ სირთულესთან იქნებოდა დაკავშირებული.

ალექსანდრე სვანიშვილმა გააკეთა მოსხსენება სამართლებრივი ზედამხედველობის სისტემის ცვლილების შესახებ და აღნიშნა რომ ამ სისტემაში კვლავ ბრუნდება გუბერნატორის როლი და ფუნქცია რომელიც იქნება გამტარი რგოლი თვითმმართველობასა და ცენტრალურ ხელისუფლებას შორის.

მონაწილეებმა აღნიშნეს რომ გუბერნატორის აპარატში ზედამხედველობის ფუნქციის დაბრუნება მნიშვნელოვნად გააიოლებს თვითმმართველობის სამართლებრივი აქტების ზედამხედველობას. რეგიონის გუბერნატორმა აღნიშნა რომ, მასსა და თვითმმართველობებს შორის არის თანამშრომლობის რეჟიმი და ყველა საკითხი წყდება ერთობლივად. შესაბამისად თუ ეს ფუნქცია დაეკისრება სამხარეო ადმინისტრაციას ისინი მაქსიმალურად ხელშემწყობ პირობებს შეუქმნიან თვითმმართველობას.

დავით ზარდიაშვილმა წარმოადგინა მოსაზრება ადგილობრივი ხელისუფლების ორგანოს სტრუქტურის მოდიფიკაციის და კოლეგიური ორგანოს გამგეობის შექმნის შესახებ (პრესენტაცია იხილეთ დანართში).

მონაწილეებმა აღნიშნეს რომ კოლეგიური ორგანიზაციის შემოღება მხოლოდ მაშინ იქნება გამართლებული თუ ის დაკომპლექტდება აღმასრულებელი შტოს განყოფილების უფროსებით და ვიცე მემრებით. მერების აბსოლიტურმა უმრავლესობამ აღნიშნა რომ საკრებულოს

წევრების შემოყვანა გამგეობაში გაართულებს გადაწყვეტილების მიღებას.

ასევე მარნეულის და დმანისის მერებმა აღნიშნეს რომ მათი მუნიციპალიტეტის ეთნიკური სპეციფიკიდან გამომდინარე შეიძლება 7 ვიცე მერის ინსტიტუტის შემოღება გახდეს საჭირო ამიტომ აუცილებელია ძლიერი მერის ინსტიტუტის შენარჩუნება რომ აღსრულებითი და მმართველობითი პროცესების კოლაფსი არ მოხდეს.

ქალაქ რუსთავის საკრებულოს თავმჯდომარემ დავით მაღლაკელიძემ აღნიშნა რომ საკრებულოს როლის გაძლიერებისთვის ყველაზე კარგი ინსტრუმენტი იქნება თუ აუდიტის სამსახური გამოიყოფა მერის დაქვემდებარებიდან და ის დაექვემდებარება საკრებულოს.

დასკვნის სახით მონაწილეები შეთანხმდნენ რომ ასოციაციამ წარმოადგინოს საკუთარი წინადადებები დეცენტრალიზაციის შემდგომი გაღრმავების კუთხით. შეხვედრა გაშუქდა ადგილობრივი ტელევიზიით

შიდა ქართლის რეგიონალური შეხვედრა - ქალაქი გორი

6 აპრილი 2017

რეგიონალურ შეხვედრას ესწრებოდნენ დავით მელუა, ასევე ექსპერტები დავით ბარდიაშვილი, მიხეილ ჯიბუტი, დავით ბასიაშვილი და გაეროს განვითარების პროექტის ექსპერტი ალექსანდრე სვანიშვილი. ასევე რეგიონის მუნიციპალიტეტების მერები/გამგებლები და საკრებულოს თავმჯდომარეები, ასევე ადგილობრივი ექსპერტები.

შეხვედრა გახსნა ბატონმა ალექსანდრე სვანიშვილმა მან აღნიშნა, რომ საქართველოს ხელისუფლება აგრძელებს დეცენტრალიზაციას და ადგილობრივი დემოკრატიის განვითარებას და ამ მიზნით სამინისტროს (რეგიონული განვითარების და ინფრასტრუქტურის) ახალმა ხელმძღვანელობამ შექმნა სამუშაო ჯგუფი, რომელმაც უნდა მოამზადოს ცვლილებები საქართველოს ორგანულ კანონში "ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი". დავით მელუამ აღნიშნა რომ, სამუშაო ჯგუფები იმუშავებენ 4 მიმართულებით, ესენია: მმართველობითი სისტემის და ფინანსური ეფექტიანობის გაზრდა, მოქალაქეთა მონაწილეობის გაზრდა ადგილობრივი თემების დონეზე, სამართლებრივი ზედამხედველობის სისტემის სრულყოფა და ადგილობრივი თვითმმართველობის შიდა ორგანიზაციული სტრუქტურის სრულყოფა. დავით მელუამ აღნიშნა რომ, მონვეული ექსპერტები ყველა ამ მიმართულებაზე გააკეთებდნენ პრეზენტაციას და თვითმმართველობის წარმომადგენლებს სთხოვა გამოეთქვათ საკუთარი მოსაზრებები.

დავით ბარდიაშვილმა წარმოადგინა მოხსენება ტერიტორიული მართვის საკითხებზე და მათ შორის ცალკეული დასახლებული პუნქტებისთვის 2014 წელს თვითმმართველი ქალაქის სტატუსის მინიჭების გამოცდილების შესახებ.

ქალაქ გორის მერმა ზურაბ ჭირკველიშვილმა აღნიშნა რომ მხოლოდ სტატუსი არ განაპირობებს ქალაქის განვითარებას, მან აღნიშნა რომ ყოველ ქალაქს უნდა ჰქონდეს განვითარების გეგმა ისევე როგორც რეგიონს და სახელმწიფოს. მან აღნიშნა რომ 2014 წელს შექმნილი ქალაქ გორის თვითმმართველობა რთულ სიტუაციაში აღმოჩნდა, ვინაიდან კოდექსი (თვითმმართველობის) ამბობს ერთს ხოლო რეალობაში კი ხდება მეორე. ქალაქმა ვერ შეძლო საკუთარი ქონების დარეგისტრირება რადგანაც იუსტიციის სამინისტრომ არ მოახდინა დარეგისტრირება, უფრო მეტიც ხშირ შემთხვევაში ქალაქის მიერ მომზადებული დოკუმენტაციით მოთხოვნილი ქონება თვითმმართველობის ნაცვლად საქართველოს ეკონომიკის სამინისტროს დაურეგისტრირეს. იგივე ხდება არასასოფლო სამურნეო მიწებზეც. თვითმმართველობებს არ აქვს ავტოსადგურების მოწყობის და მუნიციპალიტეტებს შორის სამგზავრო გადაზიდვების ორგანიზების უფლება.

ცალკე საკითხია სამინისტროების მიერ განხრცილებული აქტივობები. ძალზე ხშირად ქალაქში იხსნება ობიექტები და ამის შესახებ ქალაქის მერი საერთოდ არ არის იმფორმირებული. მან ასევე აღნიშნა რომ დაუშვებელია ადგილობრივი გადასახადების მობილიზების შემთხვევაში გათანაბრებითი ტრანსფერის შემცირება რასაც ადგილი აქვს და ძალზე ნეგატიურ გავლენას ჰპოვებს ქალაქის განვითარებაზე. ასევე არის ნებართვების საკითხი, ეკონომიკის სამინისტრო ისე იძლევა ნებართვას, მაგალითად ბენზინგასამართი სადგურების მოწყობის ნებართვას, ისე რომ ქალაქს საერთოდ არ ეკითხება. გორში არის შემთხვევა როცა ასეთი გაზგასამართი სადგური ქალაქის ცენტრში საცხოვრებელი სახლის გვერდით ისე მოეწყობა რომ ქალაქის თვითმმართველობას საერთოდ არავინ დაჰკითხია და შემდეგ აუცილებელი გახდა ამ გაზგასამართი სადგურის ფირნიშებით შემოზღუდვა ქალაქის იერსახის დამახინჯებისგან დასაცავად.

გორის თემის მუნიციპალიტეტის გამგებელი დავით ონიაშვილი არ დაეთანხმა კოლეგას და აღნიშნა რომ გორის თემის გამგეობასა და სამინისტროებს შორის არის ჰარმონიული თანამშრომლობა და გამგეობა საქმის კურსშია სამინისტროების მიერ განხორციელებული პროექტების შესახებ. რაც შეეხება ქონების საკითხს და განსაკუთრებით მიწას, გორის თემის გამგებლმა განაცხადა რომ ეს იმის ბრალია, რომ არ არსებობს მიწის და ქონების ვადასტრი, შესაბამისად ქონების იდენტიფიცირება ძალზე ძნელი ხდება. მან აღნიშნა, რომ წლების წინ

საკადასტრო სისტემა გაუქმნდა და ის განყოფილება რომელიც გარემოს დაცვის და ბუნებრივი რესურსების სამინისტროშია ვერაფრით ახერხებს სრულფასოვანად გაართვას თავი დაკისრებულ მოვალეობას. ცალკე საკითხია სასოფლო სამეურნეო მიწის კადასტრი რომელიც ქვეყანაში არ იწარმოება და ჩვენ არ გვაქვს არც მიწის ინვენტარიზაცია და არც კლასიფიკაცია.

მიხეილ ჯიბუტმა აღნიშნა რომ დღეს საქართველოში მთელი სიმწვავით დგას მიწის კოდექსის საკითხი, საქართველოს ასეთი მწყობრი საკანონმდებლო დოკუმენტი არ გააჩნია და მის გარეშე კი შეუძლებელია საუბარი მისი ქონებრივი თუ მმართველობითი საკითხების გადაწყვეტის შესახებ.

გორის საკრებულოს წევრმა მარლენ მაღრაძემ ყურადღება გაამახვილა ქალაქ გორის სტატუსზე და თქვა რომ ქალაქის სტატუსი უნდა შეუნარჩუნდეს და მისი გაერთიანება გორის მუნიციპალიტეტში მოსახლეობაში ნეგატიურ განწყობას შექმნის. მან ასევე თქვა რომ 2014 წლამდე ქალაქ გორს მუნიციპალურ საკრებულოში მხოლოდ ერთი დეპუტატი ჰყავდა და თუ მაინც მოხდა გაერთიანება აუცილებელია საარჩევნო კოდექსის ცვლილება და თანასწორი წარმომადგენლობის უზრუნველყოფა (პარლამენტის მსგავსად) და მაშინ გორს საკრებულოში 10 დეპუტატი მაინც ეყოლება.

შემდეგი პრეზენტაცია გააკეთა მიხეილ ჯიბუტმა რაც შეეხებოდა სოფლად მოსახლეობის მონწილეობის გაძლიერებას და სოფლებში ტერიტორიული ორგანოს დაბრუნებას და მრჩეველთა საბჭოს შექმნას.

მონაწილეებმა მხარი დაუჭირეს ამ ინიციატივას და აღნიშნეს რომ სოფლებში ტერიტორიული ორგანოების შექმნა ერთობ გააიოლებდა მართვის პროცესს და ასევე მოწონებულ იქნა მრჩეველთა საბჭოს როგორც ადგილობრივი საკონსულტაციო ორგანოს არსებობა.

განსხვავებული აზრი გაოთქვა გორის თემის გამგებელმა დავით ონიაშვილმა მან აღნიშნა, რომ სოფლებში სათათბიროს წევრებს გაუჩნდებათ ხელფასის დანიშვნის მოთხოვნა და ერთგვარი კონფლიქტი წარმოიშობა საკრებულოს არჩეულ წევრსა და ამ სათათბირის შორის რამაც შეიძლება სოფელში პროექტების განხორციელება გაართულოს.

ალექსანდრე სვანიშვილმა გააკეთა მოსხსენება სამართლებრივი ზედამხედველობის სისტემის ცვლილების შესახებ და აღნიშნა რომ ამ სისტემაში კვლავ ბრუნდება გუბერნატორის როლი და ფუნქცია რომელიც იქნება გამტარი რგოლი თვითმმართველობასა და ცენტრალურ ხელისუფლებას შორის.

მონაწილეებმა აღნიშნეს რომ გუბერნატორის აპარატში ზედამხედველობის ფუნქციის დაბრუნება მნიშვნელოვნად გააიოლებს თვითმმართველობის სამართლებრივი აქტების ზედამხედველობას და დიდ დროს დაზოგავს.

დავით ბარდიაშვილმა წარმოადგინა მოსაზრება ადგილობრივი ხელისუფლების ორგანოს სტრუქტურის მოდიფიკაციის და კოლეგიური ორგანოს გამგეობის შექმნის შესახებ (პრეზენტაცია იხილეთ დანართში).

მონაწილეებმა აღნიშნეს რომ კოლეგიური ორგანიზაციის შემოღება მხოლოდ მაშინ იქნება გამართლებული თუ ის დაკომპლექტდება აღმასრულებელი შტოს განყოფილების უფროსებით და ვიცე მემრებით. მერების აბსოლიტურმა უმრავლესობამ აღნიშნა რომ საკრებულოს წევრების შემოყვანა გამგეობაში გაართულებს გადაწყვეტილების მიღებას.

გორის თემთა მუნიციპალიტეტის გამგებლმა დავით ონიაშვილმა აღნიშნა რომ მართვის მოდელების ასე სწრაფი ცვლილება მეტად საფრთხილოა და მციფეს ხდის ადგილობრივ თვითმმართველობას. დღეს კვალიფიციური კადრების დეფიციტია და რამდენად იქნება შესაძლებელი გამგეობის ეფექტიანი ფუნქციონირება ამაზე ვარგად დაფიქრება გვმართებს -აღნიშნა გორის მუნიციპალიტეტის გამგებლმა. მან თქვა რომ იგი კატეგორიული წინააღმდეგია საკრებულოს შემოყვანისა გამგეობის სტრუქტურაში ეს გამოიწვევს ვაჭრობას ყოველ საკადრო საკითხზე და შეიძლება კვალიფიციური მოხელის კანდიდატურა ჩავარდეს და ადმინისტრაციის უფროსად პოლიტიზირებული პირი დაინიშნოს.

დასკვნის სახით მონაწილეები შეთანხმდნენ, რომ ასოციაციამ წარმოადგინოს საკუთარი წინადადებები დეცენტრალიზაციის შემდგომი გაღრმავების კუთხით და ასევე ითანამშრომლოს ხელისუფლებასთან რათა 7 ქალაქის სტატუსი იქნეს განხილული ინდივიდუალურად და თითოეულ ქალაქზე მომზადდეს შესაბამისი დასაბუთება.

სამცხე-ჯავახეთის რეგიონალური შეხვედრა - ქალაქი ახალციხე

7 აპრილი 2017

რეგიონალურ შეხვედრას ესწრებოდნენ დავით ჯიქია, დავით მეღუა, ასევე ესქპერტები დავით ბარდიაშვილი, დავით ბასიაშვილი და გაეროს განვითარების პროექტის ექსპერტი ალექსანდრე სვანიშვილი. ასევე რეგიონის მუნიციპალიტეტების მერები/გამგებლები და საკრებულოს თავმჯდომარეები და მედიის წარმომადგენლები.

შეხვედრა გახსნა ბატონმა დავით მელუამ მან აღნიშნა, რომ საქართველოს ხელისუფლება აგრძელებს დეცენტრალიზაციას და ადგილობრივი დემოკრატიის განვითარებას და ამ მიზნით სამინისტროს (რეგიონული განვითარების და ინფრასტრუქტურის) ახალმა ხელმძღვანელობამ შექმნა სამუშაო ჯგუფი, რომელმაც უნდა მოამზადოს ცვლილებები საქართველოს ორგანულ კანონში “ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი”. დავით მელუამ აღნიშნა რომ, სამუშაო ჯგუფები იმუშავებენ 4 მიმართულებით, ესენია: მმართველობითი სისტემის და ფინანსური ეფექტიანობის გაზრდა, მოქალაქეთა მონაწილეობის გაზრდა ადგილობრივი თემების დონეზე, სამართლებრივი ზედამხედველობის სისტემის სრულყოფა და ადგილობრივი თვითმმართველობის შიდა ორგანიზაციული სტრუქტურის სრულყოფა. დავით მელუამ აღნიშნა რომ, მონვეული ექსპერტები ყველა ამ მიმართულებაზე გააკეთებდნენ პრეზენტაციას და თვითმმართველობის წარმომადგენლებს სთხოვა გამოეთქვათ საკუთარი მოსაზრებები.

მონაწილეებს მიესალმა დავით ჯიქია და აღნიშნა რომ ასოციაცია კონსულტაციებს მართავს ადგილობრივი თვითმმართველობის წარმომადგენლებთან, განსაკუთრებით სენსიტიური საკითხია 7 ქალაქის სტატუსი და ამაზე დეტალურად მიმდინარეობს მსჯელობა, მნიშვნელოვანია რომ თვითმმართველობის წარმომადგენლებმა ამაზე ჩამოაყალიბონ საკუთარი მოსაზრება, ასოციაცია მუშაობს ამ საკითხზე და მომავალშიც იქნება მსჯელობა.

დავით ბარდიაშვილმა წარმოადგინა მოხსენება ტერიტორიული მართვის საკითხებზე და მათ შორის ცალკეული დასახლებული პუნქტებისვის 2014 წელს თვითმმართველი ქალაქის სტატუსის მინიჭების გამოცდილების შესახებ.

პრეზენტაციის შემდეგ სიტყვით გამოვიდა ახალციხის თემის გამგებელი ბაბა მელიქიძე, რომელმაც აღნიშნა რომ ახალციხის თემში მნიშვნელოვანი ცვლილებები მოხდა, განვითარდა ინფრასტრუქტურა და მუნიციპალიტეტი ფაქტიურად საკუთარი შემოსავლებით ფინანსდება რომელიც 2 ჯერ გაიზარდა. რაც შეეხება ადმინისტრაციულ ხარჯებს ის არ არის გაბერილი და სრულად ოპტიმიზირებულია.

გამოსმვლას დაეთანხმა ილია ბარდიაშვილი, ქალაქ ახალციხის ვიცე მერი რომელმაც აღნიშნა რომ ქალაქის სტატუსს ახალციხისთვის უმნიშვნელოვანესია და საჭირო ქალაქის განვითარებისთვის.

ქალაქ ახალციხის საკრებულს თავმჯდომარემ დავით ლომიძემ განაცხადა რომ თუ არ მოხდა თვითმმართველობის შედგომა

გაძლიერება მარტო სტატუსი ვერაფრის გარანტია ვერ იქნება. აუცილებელია გათანაბრების ფორმულის კორექტირება რათა ის მუნიციპალიტეტები რომლებიც ახდენენ ადგილობრივი გადასახადების მობილიზებას არ უნდა ზარელდებოდნენ ფინანსურად.

შემდეგი პრეზენტაცია გააკეთა ალექსანდრე სვანიშვილმა რაც შეეხებოდა სოფლოდ მოსახლეობის მონაწილეობის გაძლიერებას და სოფლებში ტერიტორიული ორგანოს დაბრუნებას და მრჩეველთა საბჭოს შექმნას.

მონაწილეებმა მხარ დაუჭირეს ამ ინიციატივას და აღნიშნეს რომ სოფლებში ტერიტორიული ორგანოების შექმნას და თქვეს რომ ეს მოხსნის აუცილებლობას, გამგეობაში იყოს ე.წ. საკოორდინაციო სამსახური და იქ იყვნენ დასაქმებული ის ხალხი რომლებიც სოფლებს არიან მიწერილნი.

დავით მელუამ გააკეთა მოხსენება სამართლებრივი ზედამხედველობის სისტემის ცვლილების შესახებ და აღნიშნა რომ ამ სისტემაში კვლავ ბრუნდება გუბერნატორის როლი და ფუნქცია რომელიც იქნება გამტარი რგოლი თვითმმართველობასა და ცენტრალურ ხელისუფლებას შორის.

მონაწილეებმა აღნიშნეს რომ გუბერნატორის აპარატში ზედამხედველობის ფუნქციის დაბრუნება მნიშვნელოვნად გააიოლებს თვითმმართველობის სამართლებრივი აქტების ზედამხედველობას და დიდ ღროს დაზოგავს.

ახალციხის თემის გამგებელმა აღნიშნა რომ ზედამხედველობის დღევანდელი სისტემა სრულიად გაუმართავია და დიდ ღროს საჭიროებს, მათ ჰქონდათ კონკრეტული შემთხვევა როდესაც საზედამხედველოდ გააგზავნეს აქტი და პასუხი არ მიუღიათ 2 თვის განმავლობაში. შესაბამისად ჩათვალეს რომ აქტი შეთანხმებულია და დაიწყეს მისი აღსრულება, მესამე თვეზე კი მოვიდა შენიშვნები თბილისიდან იმ აქტზე რომელიც უკვე ერთი თვის განმავლობაში იყო აღსრულებაში.

დავით ზარდიაშვილმა წარმოადგინა მოსაზრება ადგილობრივი ხელისუფლების ორგანოს სტრუქტურის მოდიფიკაციის და კოლეგიური ორგანოს გამგეობის შექმნის შესახებ.

მონაწილეებმა აღნიშნეს რომ ახლა არ აირს უპრიანი ამგეობის მოდელის ცვლილება და უნდა შენარჩუნდეს ძლიერი მერი რომელსაც ექნება საშუალება სწრაფად და მოქნილად მიიღოს გადაწყვეტილებები,

თუ საჭიროა საკრებულოს გაძლიერება შეიძლება ვიმსჯელოთ საკრებოლოსთვის დამატებითი ფუნქციების მინიჭებაზე.

ადიგენის საკრებულოს თავმჯდომარემ იმედა მღებრიშვილმა გამოთქვა მოსაზრება რომ, არასწორია მექანიზმი როცა საკრებულოს უმრავლესობას უპირობოდ შეუძლია თავმჯდომარის გადაყენება, მან აღნიშნა რომ იგი იქნა გადაყენებული საკრებულის მიერ ისე რომ არავინ აუხსნა თუ რა იყო მის გადაცდომა, შესაბამისად მან იჩვლა სასამართლოში და ორი კვირაა რაც ადიდგინა თავი, თუმცა ეხლა კიდევ აპირებენ მის გადაყენებას. მან თქვა რომ აუცილებლად უნდა შევიდეს კანონში ცვლილება და საკრებულოს თავმჯდომარის გადაყენება უნდა მოხდეს მხოლოდ შესაბამისი თანამდებობის გადაცდომის შემთხვევაში. ალექსანდრე სვანიშვილმა განმარტა რომ საკრებულოს თავმჯდომარე არის პოლიტიკური თანამდებობის პირი და შესაბამისად მისი არჩევის და გადარჩევის მანდატი აქვს საკრებულოს.

დასკვნის სახით მონაწილეები შეთანხმდნენ რომ საჭიროა დეცენტრალიზაციის ხანგძლივადიანი სტრატეგია, რომელიც შეთანხმებული იქნება თვითმმართველობის წევრებთან და ამ სტრატეგიას უნდა ჰქონდეს კანონის სახე. რაც შეეხება ქალაქის, ახალციხის სტატუსს მონაწილეებმა სხთოვეს ასოციაციას, რომ ამის შესახებ კვლავ ჩატარდეს ერთი შეხვედრა ახალციხის საკრებულოს წევრების და საზოგადოების მონაწილეობით.

რაჭა-ლეჩხუმი და ქვემო სვანეთის რეგიონალური შეხვედრა - ქალაქი ამბროლაური

1 მაისი 2017

რეგიონალურ შეხვედრას ესწრებოდნენ დავით მელუა, ექსპერტები დავით ზარდიაშვილი, მიხეილ ჯიბუტი და გაეროს განვითარების პროექტის ექსპერტი ალექსანდრე სვანიშვილი, ასევე რეგიონის მუნიციპალიტეტების მერები/გამგებლები და საკრებულოს თავმჯდომარეები, ასვე ადგილობრივი არსამთავრობო ორგანიზაციის წარმომადგენელი.

შეხვედრა გახსნა ბატონმა დავით მელუამ მან აღნიშნა, რომ საქართველოს ხელისუფლება აგრძელებს დეცენტრალიზაციას და ადგილობრივი დემოკრატიის განვითარებას და ამ მიზნით სამინისტროს (რეგიონული განვითარების და ინფრასტრუქტურის) ახალმა ხელმძღვანელობამ შექმნა სამუშაო ჯგუფი, რომელმაც უნდა მოამზადოს ცვლილებები საქართველოს ორგანულ კანონში “ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი”. დავით მელუამ აღნიშნა რომ, სამუშაო ჯგუფები იმუშავებენ 4 მიმართულებით, ესენია: მმართველობითი სისტემის და ფინანსური ეფექტიანობის გაზრდა, მოქალაქეთა

მონწილეობის გაზრდა ადგილობრივი თემების დონეზე, სამართლებრივი ზედამხედველობის სისტემის სრულყოფა და ადგილობრივი თვითმმართველობის შიდა ორგანიზაციული სტრუქტურის სრულყოფა. მან ასევე აღნიშნა რომ, მონვეული ექსპერტები ყველა ამ მიმართულებაზე გააკეთებდნენ პრეზენტაციას და თვითმმართველობის წარმომადგენლებს სთხოვა გამოეთქვათ საკუთარი მოსაზრებები.

დავით ბარდიაშვილმა წარმოადგინა მოხსენება ტერიტორიული მართვის საკითხებზე და მათ შორის ცალკეული დასახლებული პუნქტებისთვის, 2014 წელს თვითმმართველი ქალაქის სტატუსის მინიჭების გამოცდილების შესახებ.

პრეზენტაციის შემდეგ სიტყვით გამოვიდა თვითმმართველი ქალაქის ამბროლაური მერი რატი ნამგალაძე. რომელმაც აღნიშნა რომ 2014 წლიდან ქალაქი წელში გაიმართა. მოხდა ინფრასტრუქტურის მოწესრიგება, ქალაქის იერსახის წესრიგში მოყვანა ადგილობრივ მოსახლეობას მომავლის იმედი დაუბრუნდა, უფრო მეტიც 2014 წლის შემდეგ 500 ადამიანი დაბრუნდა თბილისიდან ამბროლაურში. მან აღნიშნა რომ ხარჯების ეფექტიანობის მიზეზით, დაგეგმილია ქალაქ ამბროლაურისთვის სტატუსის ჩამორთმევა, რასაც ადგილობრივი მოსახლეობა ვერ გაიგებს და ვერც აპატიებს ადგილობრივ და ცენტრალურ ხელისუფლებას. ყველა ის არგუმენტი ადმინისტრაციულ ხარჯთან დაკავშირებით რაც გამოთქმულია სხვადასხვა პირების მიერ არის სრულიად უსაფუძვლო და არასწორი, ამბროლაურში არანაირი ხარჯები გაბერილი არ არის და ქალაქის სამსახურები ასევე ემსახურებიან სოფლებს როგორც ქალაქს და მათ ძალზე კარგი თანამშრომლობა აქვთ.

დავით ბარდიაშვილმა მოახდინა ცხრილის დემონსტრირება სადაც ნაჩვენებია იყო სამთავრობო ხარჯი ერთ სულ მოსახლეზე საქართველოს თვითმმართველ ერთეულებში და აღნიშნა, რომ მაშინ როდესაც საქართველოში საშუალო სამთავრობო დანახარჯი ერთ სულ მოსახლეზე არის 700 ლარის ფარგლებში, ამბროლაურში ეს ციფრი 2,000 ლარზე მეტია, რაც დისპროპორციული და უსამართლო სისტემაა. დავით ბარდიაშვილმა ასევე წარადგინა, საქალაქო დასახლების ევროპული კრიტერიუმი და მათი შესაბამისობა 7 თვითმმართველ ქალაქთან. ამ პრეზენტაციებმა შეხვედრის მონაწილეების მხრიდან აგრესია გამოიწვია და მათ ამ ციფრებს არაზუსტი და მცდარი და უვიცის შედგენილი უწოდეს.

ზაალ მეტრაველმა (ამბროლაური თემის საკრებულოს წევრი) აღნიშნა, რომ ის მხარს უჭერს ქალაქ ამბროლაურისთვის სტატუსის შენარჩუნებას და მისი რწმენით ასოციაციის ექსპერტების მიერ წარმოდგენილი

მოსაზრებები არ უნცობს ხელს არც დეცენტრალიზაციას და არც რაჭის განვითარებას. შესაბამისად, 7 ქალაქისთვის თვითმმართველი ერთეულის სტატუსი წართმევა იქნება უკან გადადგმული ნაბიჯი. მან აღნიშნა რომ ამბროლაურის თემის საკრებულო მხარს უჭერს ამბროლაურისთვის თვითმმართველი ქალაქის სტატუსის შენარჩუნებას და ყველას მოუწოდებს არ მოახდინონ იმის რევიზია რომ 2014 წლის თვითმმართველობის რეფორმა იყო წინგადადგნული ნაბიჯი. შესაბამისად მან მოუწოდა ასოციაციას რომ მთავრობას ურჩიოს, ნუ იქნება ნაჩქარევი და გაუზარებელი გადაწყვეტილებები მიღებული.

შესხვედრას ასევე შემოურთდნენ ქალაქ ამბროლაურის მერიის თანამშრომლები, ქალბატონმა თეა ბენდელიანმა აღნიშნა რომ 2014 წლის რეფორმა გაატარა “ქართულმა ოცნება“-მ კოალიციის ლიდერის ბატონი ივანიშვილის მეთაურობით და ესხა გაუგებარია თუ რის საფუძველზე აპირებენ ცენტრალური ხელისუფლების კონკრეტული წარმომადგენლები ამ რეფორმის ვარგისიანობის ეჭვქვეშ დაყენებას.

ქალბატონმა ციციხო გოგილაძემ აღნიშნა რომ, თუ ქალაქს არ ექნება თვითმმართველი სტატუსი მაშინ რაჭა აღარ იქნება და დაიცლება, ამიტომაც ყველა სხვა წინანდადების განხილვა სრულაიად მიუღებელია.

ბატონმა დავით გოქსაძემ ასოციაციას სთხოვა რომ იმუშაოს სამინისტროსთან რათა მოხდეს ამბროლაურისთვის სტატუსის შენარჩუნება. მისი აზრით, კარგი იყო ის მოდელი სადაც ქალაქსაც და სოფელსაც ჰქონდათ თვითმმართველობა და ალბათ ამ მიმართულებით უნდა წავიდეს ჩვენი სახელმწიფო. ამიტომ ამ ეტაპზე დიდ ქალაქებს მიეცეთ მეტი უფლებები, ასევე შეიძლება თემთან მოხდეს სამსახურების გაერთიანება მაგრამ ქალაქი (ამბროლაური) როგორც ცალკე თვითმმართველი ერთეული უნდა შენარჩუნდეს

შემდეგი პრეზენტაცია გააკეთა მიხეილ ჯიბუტმა. რაც შეეხებოდა სოფლოდ მოსახლეობის მონაწილეობის გაძლიერებას და სოფლებში ტერიტორიული ორგანოს დაბრუნებას და მრჩეველთა საბჭოს შექმნას.

მონაწილეებმა მხარი დაუჭირეს ამ ინიციატივას და აღნიშნეს რომ სოფლებში ტერიტორიული ორგანოების შექმნა ერთობ გააიოლებდა მართვის პროცესს და ასევე მონაწილე იქნა, მრჩეველთა საბჭოს, როგორც ადგილობრივი საკონსულტაციო ორგანოს არსებობა.

ბატონმა რევაზ ბენაძემ (ცაგერის გამგებელი) გამოთქვა მოსაზრება, რომ აუცილებელია თვითმმართველი ერთეულების შემდგომი გაძლიერება, მათთვის შესაბამისი ფუნქციების, ქონების და ფინანსების გადაცემა. მან აღნიშნა, რომ უფუნქციო თვითმმართველობა გინდ ქალაქში იყოს გინდ სოფელში თავის ამოცანას ვერ შეასრულებს.

დარბაზის რეპლიკაზე უჭერდა თუ არა მხარს ქალაქ ამბროლაურის შენარჩუნებას? მან უპასუხა, რომ მხარს უჭერს ამბროლაურს ჰქონდეს ძილერი თვითმმართველობა.

ონის მუნიციპალიტეტის გამგებელმა გიორგი ლობანიძემ აღნიშნა, რომ აუცილებელია საჯარო სახსრების თანაბარი გადანაწილება, იმ შემთხვევაში როცა ქალაქ ამბროლაურს აქვს 4 მილიონიანი ბიუჯეტი აუცილებელია ქალაქ ონს მიეცეს დაფინანსება 1 მილიონი მაინც, იმაზე დამატებით რასაც დღეს ონის მუნიციპალიტეტს ეძლევა ცენტრალური ბიუჯეტიდან. ჩვენ არ ვითხოვთ ცალკე სტატუსს ქალაქ ონისთვის მაგრამ ვითხოვთ 1 მილიონის დაფინანსებას მაინც. მოგვეცემს საშუალებას რომ ქალაქი მოვანერვიოთ. ამ თანხას ჩვენ ეფექტიანად გამოვიყენებთ და არ შევქმნით არც დასახლების და არც ადმინისტრაციის კუთხით პრობლემებს.

ცაგერის გამგებელმა დააყენა გათანაბრებითი ტრანსფერის ფორმულის გადახედვის საკითხი და აღნიშნა, რომ იგი ვერ უზრუნველყოფს მუნიციპალიტეტების თანაბარ განვითარებას.

ალექსანდრე სვანიშვილმა გააკეთა მოსხსენება სამართლებრივი ზედამხედველობის სისტემის ცვლილების შესახებ და აღნიშნა, რომ ამ სისტემაში კვლავ ბრუნდება გუბერნატორის როლი და ფუნქცია რომელიც იქნება გამტარი რგოლი თვითმმართველობასა და ცენტრალურ ხელისუფლებას შორის.

მონაწილეებმა აღნიშნეს რომ, გუბერნატორის აპარატში ზედამხედველობის ფუნქციის დაბრუნება მნიშვნელოვნად გააიოლებს თვითმმართველობის სამართლებრივი აქტების ზედამხედველობას და დიდ დროს დაზოგავს.

დასკვნის სახით მონაწილეებმა ქალაქ ამბროლაურიდან მოთხოვეს, რომ ასოციაციის აღმასრულებელმა საბჭომ გააკეთოს მკაფიო განცხადება და დაიცვას ქალაქი ამბროლაური რომელიც არის ასოციაციის წევრი. აღინიშნა, რომ მათ არ სურთ იმ ექსპერტების მოსმენა რომელიც წინასწარ მიღებული გადაწყვეტილების მათთვის თავზე მოსახვევად არიან ჩამოსული. ამ განცხადებების შემდეგ სხდომა კამათში გადაიზარდა და სხდომის წამყვანის მიერ დახურულად გამოცხადდა იმ დათქმით, რომ ის ასოციაციის პრეზიდენტს მოახსენებს აღმასრულებელი საბჭოს მონვევის მოთხოვნის შესახებ და ქალაქ ამბროლაურის წარმომადგენელს ექნება საშუალება დააყენოს საკითხი ამ სხდომაზე.

გურიის რეგიონალური შეხვედრა - ქალაქი ოზურგეთი

2 მაისი 2017

რეგიონალურ შეხვედრას ესწრებოდნენ დავით მელუა, ასევე ექსპერტები დავით ბარდიაშვილი, მიხეილ ჯიბუტი, დავით ბასიაშვილი და გაეროს განვითარების პროექტის ექსპერტი ალექსანდრე სვანიშვილი. ასევე რეგიონის მუნიციპალიტეტების მერები/გამგებლები და საკრებულოს თავმჯდომარეები და ადგილობრივი მედია.

შეხვედრა გახსნა ბატონმა დავით მელუამ მან აღნიშნა, რომ საქართველოს ხელისუფლება აგრძელებს დეცენტრალიზაციას და ადგილობრივი დემოკრატიის განვითარებას და ამ მიზნით სამინისტროს (რეგიონული განვითარების და ინფრასტრუქტურის) ახალმა ხელმძღვანელობამ შექმნა სამუშაო ჯგუფი, რომელმაც უნდა მოამზადოს ცვლილებები საქართველოს ორგანულ კანონში “ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი”. დავით მელუამ აღნიშნა რომ, სამუშაო ჯგუფები იმუშავებენ 4 მიმართულებით, ესენია: მმართველობითი სისტემის და ფინანსური ეფექტიანობის გაზრდა, მოქალაქეთა მონაწილეობის გაზრდა ადგილობრივი თემების დონეზე, სამართლებრივი ზედამხედველობის სისტემის სრულყოფა და ადგილობრივი თვითმმართველობის შიდა ორგანიზაციული სტრუქტურის სრულყოფა. დავით მელუამ აღნიშნა რომ, მონვეული ექსპერტები ყველა ამ მიმართულებაზე გააკეთებდნენ პრეზენტაციას და თვითმმართველობის წარმომადგენლებს სთხოვა გამოეთქვათ საკუთარი მოსაზრებები.

დავით ბარდიაშვილმა წარმოადგინა მოხსენება ტერიტორიული მართვის საკითხებზე და მათ შორის ცალკეული დასახლებული პუნქტებისთვის 2014 წელს თვითმმართველი ქალაქის სტატუსის მინიჭების გამოცდილების შესახებ (პრეზენტაცია იხილეთ დანართში).

სიტყვა ითხოვა მერაბ ჭანუყვაძემ ოზურგეთის თემთა მუნიციპალიტეტის გამგებელმა, მან აღნიშნა რომ 2014 წელის რეფორმა იყო კარგი რეფორმა და ის თავდაპირველი ვარიანტი (370 ერთეულად დაშლა) რომ განხორციელებულიყო იქნებოდა კარგი, მაგრამ ხელისუფლებამ ეს ვერ გააკეთა იმიტომ, რომ არ იყო შესაბამისი ფინანსები, დღესაც ფინანსების საკითხი მწვავედ დგას და ამიტომაც რაღაც ოქროს შუალედი უნდა მოვნახოთ თუმცა აუცილებელია ქალაქის ინტერესების დაცვა.

მანვე აღნიშნა რომ ოზურგეთში თემთა მუნიციპალტეტებში 28 თემია გაერთიენბული და მათი ბიუჯეტი 4 მილიონი ლარია რაც ადრე არსებულ თანხებზე დიდია მაგრამ ჯერ კიდევ არ არის საკმარისი. ასევე

ითქვა, რომ მუნიციპალიტეტებს უფრო მეტი ფუნქციები უნდა გადაეცეთ ისეთ სფეროებში როგორცაა ეკონომიკა, განათლებისა და სოციალური დაცვის სფეროებში, მანვე აღნიშნა რომ გამოთანაბრების არსებულმა ფორმულამ თავისი დრო მოჭამა და აუცილებელია მისი რევიზია. მათ შორის გამოთანაბრების სქემაში ქალაქ თბილისის შეყვანით.

მიხეილ ჯიბუტმა აღნიშნა რომ დღეს ხდება გადანაწილება და არა გათანაბრება ამიტომ საჭიროა რომ თბილისს არ მიეცეს გათანაბრებითი ტრანსფერი და ეს თანცა საჭიროების მიხედვით და სტანდარტების საფუძველზე გადანაწილდეს მუნიციპალიტეტებზე, მან ასევე ისაუბრა სოფლად მოსახლეობის მონაწილეობის გაძლიერებას და სოფლებში ტერიტორიული ორგანოს დაბრუნებას და მრჩეველთა საბჭოს შექმნასთან დაკავშირებით.

აზრი გამოთქვა გურიის მხარის გუბერნატორის მოადგილემ იოსებ ერქომაიშვილმა მან აღნიშნა, რომ სოფლის მრჩეველთა საბჭოებს თავდაპირველ ეტაპზე არ უნდა ჰქონდეთ საბიუჯეტო უფლებამოსილებანი მათ შეიძლება დაევალოთ სოციალ ეკონომიკური განვითარების დოკუმენტების განხილვაში მონაწილეობა.

ობურგეთის თემის საკრებულოს თავმჯდომარემ დავით დარჩიამ აღნიშნა, რომ ასეთი საბჭოების შემოღებამ შეიძლება მის წევრებს გაუჩინოს ფინანსური კომპენსაციის მიღების მოტივაცია რაც დიდი პრობლემა იქნება, ეს საკითხი ისედაც მწვავედ დგას მუნიციპალიტეტის საკრებულოში.

გიორგი ღურჯუმელიძემ აღნიშნა რომ სოფლის სათათბიროების შემოღებამ არ უნდა გაართულოს მუნიციპალიტეტის მართვის პროცესი და არ უნდა მოხდეს ისე რომ გამგებელმა ვერ შეძლოს მისი რწმუნებულის დანიშვნა.

მონაწილეებმა მხარი დაუჭირეს ამ ინიციატივას და მოწონებულ იქნა მრჩეველთა საბჭოს როგორც ადგილობრივი საკონსულტაციო ორგანოს არსებობა ზემოთგამოთქმული მოსაზრებების გათვალისწინებით.

ალექსანდრე სვანიშვილმა გააკეთა მოსხსენება სამართლებრივი ზედამხედველობის სისტემის ცვლილების შესახებ და აღნიშნა რომ ამ სისტემაში კვლავ ბრუნდება გუბერნატორის როლი და ფუნქცია რომელიც იქნება გამტარი რგოლი თვითმმართველობასა და ცენტრალურ ხელისუფლებას შორის.

მონაწილეებმა აღნიშნვეს რომ გუბერნატორის აპარატში ზედამხედველობის ფუნქციის დაბრუნება მნიშვნელოვნად გააიოლებს თვითმმართველობის სამართლებრივი აქტების ზედამხედველობას და

დიდ დროს დაზოგავს. არჩილ ყაზიშვილმა ასევე აღნიშნა რომ საჭრო იქნება გუბერნატორის აპარატში შესაბამის კადრების გადამზადება.

დავით ბარდიაშვილმა წარმოადგინა მოსაზრება ადგილობრივი ხელისუფლების ორგანოს სტრუქტურის მოდიფიკაციის და კოლეგიური ორგანოს გამგეობის შექმნის შესახებ (პრეზენტაცია იხილე დანართში).

მონაწილეებმა აღნიშნეს რომ კოლეგიური ორგანიზაციის შემოღება გაართულებს გადანაცვეტილების მიღებას გამგეობაში მაგრამ ის უდაოდ მისცემს საშუალებას გამგებლეს სწორად გადაანაწილოს ფუქციები. ამიტომ კარგად უნდა მოხდეს ამ სისტემის გაზრება ვიდრე გადანაცვეტილება იქნება მიღებული.

დასკვნის სახით მონაწილეები შეთანხმდნენ, რომ ასოციაციამ წარმოადგინოს საკუთარი წინადადებები დეცენტრალიზაციის შემდგომი გაღრმავების კუთხით. შეხვედრა გაშუქდა ადგილობრივი ტელევიზიით.

შეხვედრა აჭარის ავტონომიურ რესპუბლიკაში - ქალაქი ბათუმი

3 მაისი 2017

რეგიონალურ შეხვედრას ესწრებოდნენ დავით მელუა, ასევე ექსპერტები დავით ბარდიაშვილი, მიხეილ ჯიბუტი, დავით ბასიაშვილი და გაეროს განვითარების პროექტის ექსპერტი ალექსანდრე სვანიშვილი. ასევე რეგიონის მუნიციპალიტეტების მერები/გამგებლები და საკრებულოს თავმჯდომარეები.

შეხვედრა გახსნა დავით მელუამ მან აღნიშნა, რომ საქართველოს ხელისუფლება აგრძელებს დეცენტრალიზაციას და ადგილობრივი დემოკრატიის განვითარებას და ამ მიზნით სამინისტროს (რეგიონული განვითარების და ინფრასტრუქტურის) ახალმა ხელმძღვანელობამ შექმნა სამუშაო ჯგუფი, რომელმაც უნდა მოამზადოს ცვლილებები საქართველოს ორგანულ კანონში "ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი". დავით მელუამ აღნიშნა რომ, სამუშაო ჯგუფები მუშაობენ 4 მიმართულებით, ესენია: მმართველობითი სისტემის და ფინანსური ეფექტიანობის გაზრდა, მოქალაქეთა მონაწილეობის გაზრდა ადგილობრივი თემების დონეზე, სამართლებრივი ზედამხედველობის სისტემის სრულყოფა და ადგილობრივი თვითმმართველობის შიდა ორგანიზაციული სტრუქტურის სრულყოფა. დავით მელუამ აღნიშნა რომ, მოწვეული ექსპერტები ყველა ამ მიმართულებაზე გააკეთებდნენ პრეზენტაციას და თვითმმართველობის წარმომადგენლებს სთხოვა გამოეთქვათ საკუთარი მოსაზრებები.

დავით ბარდიაშვილმა წარმოადგინა მოხსენება ტერიტორიული მართვის საკითხებზე და მათ შორის ცალკეული დასახლებული პუნქტებისთვის 2014 წელს თვითმმართველი ქალაქის სტატუსის მინიჭების გამოცდილების შესახებ, ასევე ისაუბრა საკონსტიტუციო ცვლილებებზე და აჭარის ა.რ. სტატუსზე.

სიტყვა ითხოვა ქალაქ ბათუმის საკრებულოს წევრმა ირაკლი ჩავლეიშვილმა მან აღნიშნა, რომ მისთვის გაუგებარია თუ ვინ წერს ამ კანონებს ვინადაინ რაც დრო გადის სულ უფრო და უფრო უარესდება საკანონმდებლო ბაზა, მან აღნიშნა რომ 2014 წლის კანონს აშაკარად სჯობდა წინა კანონი, ხოლო ამ უკანასკნელს კი ის რაც მასზე ადრე იყო. მისი აზრით ამის მიზეზია ის, რომ ამ კანონებებს წერენ ადმიანები ვინც მხოლოდ პარლამენტში დაიწყო ამ საკითხებზე ფიქრი და არა აქვთ ადგილებზე მუშაობის გამოცდილება. მან აღნიშნა რომ 2014 წლამდე ის იყო ქალაქ ბათუმის საკრებულოს თავმჯდომარე, მას საქმიანი და საუკეთესო ურთიერთობა ჰქონდა საკრებულოს მიერ დანიშნულ ქალაქის მერთან, ახლა კი საკრებულოს თავმჯდომარე და მერი ერთმანეთს მტრად აღიქვამენ და მათ შორის კომუნიკაციაც კი არ არის. მან აღნიშნა, ადმინისტრაციული ხარჯები გაიზარდა იმიტომ რომ დაიწყო თვითმმართველობებში უკონტროლო დასაქმების პროცესი და ეს ყველაფერი არის პარტიული ნიშნით და ინტერესით გამოწვეული (რეპლიკები დარბაზში). იგივე თქვეს სოფლების მართვაზე, სოფლებს დღეს რეალურად პატრონი არა ჰყავს და ის ერთი დანიშნული კაცი ფოსტალიონის ფუქციასაც კი ვერ ასრულებს ჯეროვნად.

სულხან ოქროპირიძემ ქობულეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარემ თავის გამოსვლაში აღნიშნა რომ 3 წლის განმავლობაში გადაყვევით ამ დისკუსიებს მაგრამ თითმმართველობის საქმე წინ არ წასულა. დღეს მთავარი რაზედაც უნდა ვიფიქროთ არის მუნიციპალიტეტების შემდგომი გაძლიერება. მათ შორის ქონების გადაცემა, აჭარაში არის 3 სახის მესაკუთრე: ცენტრალური ხელისუფლება, აჭარის ხელისუფლება და მუნიციპალიტეტი. აქედან მუნიციპალიტეტს ფაქტობრივად არაფერი აქვს დატოვებული. შემდეგად ადგილობრივი მიწა და ქონება იყიდება ისე რომ მუნიციპალიტეტს არათუ ვინმე რამეს ვკითხება არამედ ინფორმაციასაც კი არ ვფლობთ რა იყიდება, ვისზე და რატომ. შემდეგი არის ფინანსები, აქ დიდი უსამართლობაა, აჭარის მუნიციპალიტეტი უფრო დისკრიმინებულია ვიდრე დანარჩენი საქართველოს მუნიციპალიტეტები, ჩემთან (ქობულეთში) განყოფილების გამგის ხელფასი 300 ლარია და ოზურგეთში 1 200, ეს სადაური თანაბრობა და თანასწორობაა. მან ასევე აღნიშნა რომ 2014 წლამდე საკრებულო იყო რეალური ზედამხედველი ორგანო, დღეს კი საკრებულოს რეალურად ბიუჯეტის დამტკიცების გარდა სხვა ფუნქცია არ გააჩნია.

დავით დუმბაძემ ქედის რაიონის გამგებელმა აღნიშნა რომ 2014 წელს ერთი უკიდუროსიბიდან, მეორე უკიდურესობაში გადავარდით, რომ შემოღებული იქნა ატესტაციები და კვალიფიკაციის მოთხოვნები, შედეგად მივიღეთ ის, რომ თანამშრომელს აქვს კვალიფიკაცია მაგრამ არა შეუძლია ადმინისტრაციის ურთიერთობა და სწორი კომუნიკაცია. ასევე მმართველობის სისტემა არ უნდა იცვლებოდეს ყველა 5 წელიწადში ერთხელ თორემ ასე ვერასდროს მივიღებთ ეფექტიან ხელისუფლებას.

მანვე აღნიშნა რომ ცალკე თემაა თვითმმართველობის უუფლებობა. ყველაფერი წყდება თბილისში, აუღებელი ციხესიმაგრეა გარემოს დაცვა (გარემოს დაცვის და ბუნებრივი რესურსების სამინისტრო). 3 წლის წინ მენყერი ჩამოწვა და დააზიანა გზა, 3 წელია ვცდილობთ გარემოს დაცვის შესაბამისი სააგენტოდან მივიღოთ ბალასტის გატანის უფლების მიღებას და ვერანაირად მოვახერხეთ, შესაბამისად ის მოსახლეობა ჩვენ მტრად მოგვეკიდა თბილისში სამინისტროს ეს საერთოდ არ ანუხებს.

გურამ ზოიძემ შუახევის საკრებულოს თავმჯდომარემ აღნიშნა რომ იგივე პრობლემაა ყველაგან, მის ტერიტორიაზე საგზაო დეპარტამენტს ჰყავს ტექნიკა, რომელიც გაჩერებულია. ზამთარში, როცა გზის გასანმენდაა საჭირო, მუნიციპალიტეტი ვერ ახერხებს ამ ტექნიკის გამოყენებას რადგან ადგილობრივი კომპანიები მუნიციპალიტეტის მოთხოვნას ყურად არ იღებენ და თბილისიდან უნდათ საგზაო დეპარტამენტის თანხმობა. იგივე არის გზების საკითხი, ქალაქთან მისასვლელი გზა ეკუთვნის გზების დეპარტამენტს, შეუძლებელი იყო მასზე გადაადგილება, შევაკეთეთ და საყვედური მივიღეთ თუ რატომ შევეხეთ იმ გზას რომელიც ჩვენ არ გვეკუთვნოდა.

შემდეგი პრეზენტაცია გააკეთა მიხეილ ჯიბუტმა რაც შეეხებოდა სოფლად მოსახლეობის მონწილეობის გაძლიერებას და სოფლებში ტერიტორიული ორგანოს დაბრუნებას და მრჩეველთა საბჭოს შექმნას.

დავით დუმბაძემ აღნიშნა, რომ სოფლის ადმინისტრაციის გაუქმება და ხარჯთაღრიცხვის არქონა იყო დიდი შეცდომა რომელიც სასწრაფოდ არის გასასწორებელი.

გურამ ზოიძემ აღნიშნა, რომ მის მუნიციპალიტეტში არის დასახლებები რომლებიც 50 კილომეტრითაა დაცილებული ადმინისტრაციულ ცენტრს და იქ ერთი ადმინი ვერაფერს გააკეთებს, ამიტომ ტერორტორიულ ერთეულებში ადმინისტრაციის არარსებობა ხელს გვიშლის მთის კანონის მოთხოვნების შესრულებაში

ჯამბულ ხობრევანიძემ ხულოს საკრებულოს თავმჯდომარემ აღნიშნა, რომ მისამსალმებელია ასეთი შეხვედრები და ის ისურვებდა რომ

ასოციაცია უფრო აქტიურად იცავდეს თვითმმართველობის უფლებებს და მეტად ჩანდეს ადგილზე. მან აღნიშნა, აუცილებელია ტერიტორიულ ერთეულებში მოხდეს მოსახლეობის აღრიცხვა, ადგილობრივი ქონების ინვენტარიზაცია და იმ რეალური მმართველობითი პროცესების განხორციელება, სწორედ ასე შეიძლება მთის კანონის რეალურად ამოქმედება აჭარაში.

მონაწილეებმა მხარი დაუჭირეს ამ ინიციატივას და აღნიშნეს რომ სოფლებში ტერიტორიული ორგანოების შექმნა ერთობ გააიოლებდა მართვის პროცესს და ასევე მოწონებულ იქნა მრჩეველთა საბჭოს როგორც ადგილობრივი საკონსულტაციო ორგანოს არსებობა.

ალექსანდრე სვანიშვილმა გააკეთა მოსხსენება სამართლებრივი ზედამხედველობის სისტემის ცვლილების შესახებ და აღნიშნა რომ ამ სისტემაში კვლავ ბრუნდება გუბერნატორის როლი და ფუნქცია რომელიც იქნება გამტარი რგოლი თვითმმართველობასა და ცენტრალურ ხელისუფლებას შორის. თუმცა იქვე აღნიშნა, რომ ჯერ არ არის გადაწყვეტილი თუ როგორ ჩამოყალიბდება ეს სისტემა აჭარის ავტონომიურ რესპუბლიკასთან მიმართებაში.

მონაწილეებმა ასოციაციას სთხოვეს მიედევნოს ამ საკითხს და როცა იქნება გასაზღვრული აჭარის მუნიციპალიტეტებზე ზედამხედველობის წესი ამის შესახებ ინფორმაცია მიაწოდოს მუნიციპალიტეტს.

დავით ბარდიაშვილმა წარმოადგინა მოსაზრება ადგილობრივი ხელისუფლების ორგანოს სტრუქტურის მოდიფიკაციის და კოლეგიური ორგანოს გამგეობის შექმნის შესახებ.

სულხან ოქროპირიძემ აღნიშნა, რომ ახლა საკრებულოს შემოყვანა გამგეობის სტრუქტურაში სულ არევეს სისტემას და შეუძლებელს გახდის მართვას, ამის ნაცვლად საჭიროა მუნიციპალიტეტის გაძლიერება და საკრებულოს როლის გაზრდა ხარჯების ათვისების კონტროლის საქმეში, საკრებულოსთვის შიდა აუდიტის სამსახურის გადაცემა, რაც საშუალებას მოგვცემს ეფექტიანად და კვალიფიციურად ვაკონტროლოთ გამგებელი.

დასკვნის სახით მონაწილეები შეთანხმდნენ, რომ ასოციაციამ წარმოადგინოს საკუთარი წინადადებები დეცენტრალიზაციის შემდგომი გაღრმავების კუთხით და ასევე უფრო აქტიურად აწარმოოს დიალოგი წევრ მუნიციპალიტეტთან, გამოითქვა აზრი რომ აღმასრულებელი საბჭოს სხდომების ვიდეოჩანაწერი ხელმისაწვდომი იყოს ასოციაციის ვებგვერდზე.

სამეგრელო ზემო სვანეთის რეგიონალურ შეხვედრა - ქალაქი ზუგდიდი

4 მაისი 2017

რეგიონალურ შეხვედრას ესწრებოდნენ დავით მელუა, ასევე ექსპერტები დავით ბარდიაშვილი, მიხეილ ჭიბუტი, დავით ბასიაშვილი და გაეროს განვითარების პროექტის ექსპერტი ალექსანდრე სვანიშვილი. ასევე რეგიონის მუნიციპალიტეტების მერები/გამგებლები და საკრებულოს თავმჯდომარეები. სხდომას ასევე ესწრებოდა საქართველოს პარლამენტის წევრი მერაბ ქვარია და რეგიონის გუბერნატორის წარმომადგენელი.

შეხვედრა გახსნა ბატონმა დავით მელუამ მან აღნიშნა, რომ საქართველოს ხელისუფლება აგრძელებს დეცენტრალიზაციას და ადგილობრივი დემოკრატიის განვითარებას და ამ მიზნით სამინისტროს (რეგიონული განვითარების და ინფრასტრუქტურის) ახალმა ხელმძღვანელობამ შექმნა სამუშაო ჯგუფი, რომელმაც უნდა მოამზადოს ცვლილებები საქართველოს ორგანულ კანონში “ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი”. დავით მელუამ აღნიშნა, რომ სამუშაო ჯგუფები მუშაობს 4 მიმართულებით, ესენია: მმართველობითი სისტემის და ფინანსური ეფექტიანობის გაზრდა, მოქალაქეთა მონაწილეობის გაზრდა ადგილობრივი თემების დონეზე, სამართლებრივი ზედამხედველობის სისტემის სრულყოფა და ადგილობრივი თვითმმართველობის შიდა ორგანიზაციული სტრუქტურის სრულყოფა. დავით მელუამ აღნიშნა რომ, მონვეული ექსპერტები ყველა ამ მიმართულებაზე გააკეთებდნენ პრეზენტაციას და თვითმმართველობის წარმომადგენლებს სთხოვა გამოეთქვათ საკუთარი მოსაზრებები.

დავით ბარდიაშვილმა წარმოადგინა მოხსენება ტერიტორიული მართვის საკითხებზე და მათ შორის ცალკეული დასახლებული პუნქტებისთვის 2014 წელს თვითმმართველი ქალაქის სტატუსის მინიჭების გამოცდილების შესახებ, ასევე ინფორმაცია კონსტიტუციის შესაბამის თავში შეტანილი ცვლილებების შესახებ.

ქალაქ ფოთის მერმა ირაკლი ვაკულიამ აღნიშნა, რომ რეალური თვითმმართველობის არსებობისათვის აუცილებელია ადგილობრივი ეკონომიკის განვითარება რასაც დრო და ხელშემწყობი გარემო სჭირდება, შესაბამისად დღეს რაიმე სახის სრული საქალაქო თვითმმართველობაზე საუბარი არათუ ზუგდიდში არამედ ფოთშიც შეუძლებელია, რადგანაც საპორტო ქალაქის სტატუსიც კი ვერ უზრუნველყოფს ფოთის ბიუჯეტის დამოუკიდებლობას.

ხობის მუნიციპალიტეტის გამგებელმა გოჩა ქაჯაიამ აღნიშნა რომ, აუცილებელია თვითმმართველობას გადაეცეს ქონება და მათ შორის ადგილობრივი სასოფლო სამეურნეო მიწები და ტყის ფონდი, ასევე მან აღნიშნა რომ საჭიროა ცენტრალური კანონმდებლობით დარეგულირდეს სახელფასო ანაღდაურების თემა

სენაკის მუნიციპალიტეტის გამგებელმა გოჩა დგებუაძემ აღნიშნა, რომ აუცილებელია გრძელვადიანი გეგმა თუ როგორ განვითარდეს თვითმმართველობა, უნდა იყოს ერთგვარი გარდამავალი პერიოდი როცა გვეცოდინება რაა ჩვენი მიზანი და საითკენ მივდივართ, ყველა შეთანხმებული ვიქნებით, რომ ყოველ წელს არ ვცვლით მართვის სისტემას.

მიხეილ ჯიბუტმა აღნიშნა, რომ დღეს საქართველოში მთელი სიმწვავით დგას მიწის კოდექსის საკითხი, საქართველოს ასეთი მწყობრი საკანონმდებლო დოკუმენტი არ გააჩნია და მის გარეშე კი შეუძლებელია საუბარი მისი ქონებრივი თუ მმართველობითი საკითხების გადანყვეტის შესახებ. მან ასევე ისაუბრა სოფლად მოსახლეობის მონწილეობის გაძლიერებას და სოფლებში ტერიტორიული ორგანოს დაბრუნებას და მრჩეველთა საბჭოს შექმნას.

აზრი გამოთქვა აბაშის საკრებულოს თავმჯდომარემ პაატა ქურდოვანიძემ, მან აღნიშნა, რომ მიწის კოდექსის მიღება დიდ საშიშროებასთანაა დაკავშირებული და საქართველოში მიწა უნდა იყოს მხოლოდ ცენტრალური ხელისუფლების ხელში, წინააღმდეგ შემთხვევაში ადგილობრივი კლანების საკუთრება გახდება და შემდეგ ესენი ქართულ მიწას უცხოელებზე გაყიდვიან. ასევე მან აღნიშნა რომ, არის რისკი სოფლის სათათბიროები “ბიჭ-ბუჭებმა” და “შავმა ელემენტებმა” ჩაიგდონ ხელში.

მამუკა კვიციანიძემ აბაშის გამგებელმა მხარი არ დაუჭირა წინა გამომსვლელს და აღნიშნა რომ საჭიროა სოფლებში ადმინისტრაციის გაძლიერება და ასევე თვითმმართველობისთვის უფლებების და ქონების ეტაპობრივი გადაცემა.

მონაწილეებმა მხარი დაუჭირეს ამ ინიციატივას და აღნიშნეს რომ სოფლებში ტერიტორიული ორგანოების შექმნა ერთობ გააიოლებდა მართვის პროცესს და ასევე მოწონებულ იქნა მრჩეველთა საბჭოს როგორც ადგილობრივი საკონსულტაციო ორგანოს არსებობა.

ალექსანდრე სვანიძევილმა გააკეთა მოსხსენება სამართლებრივი ზედამხედველობის სისტემის ცვლილების შესახებ და აღნიშნა რომ ამ სისტემაში კვლავ ბრუნდება გუბერნატორის როლი და ფუნქცია

რომელიც იქნება გამტარი რგოლი თვითმმართველობასა და ცენტრალურ ხელისუფლებას შორის.

მონაწილეებმა აღნიშნეს რომ გუბერნატორის აპარატში ზედამხედველობის ფუნქციის დაბრუნება მნიშვნელოვნად გააიოლებს თვითმმართველობის სამართლებრივი აქტების ზედამხედველობას და დიდ დროს დაზოგავს.

დასკვნის სახით მონაწილეები შეთანხმდნენ რომ ასოციაციამ წარმოადგინოს საკუთარი წინადადებები დეცენტრალიზაციის შემდგომი გაღრმავების კუთხით და ასევე ითანამშრომლოს ხელისუფლებასთან რომ 7 ქალაქის სტატუსი იქნეს განხილული ინდივიდუალურად.

იმერეთის რეგიონალური შეხვედრა - ქალაქი ქუთაისი

5 მაისი 2017

რეგიონალურ შეხვედრას ესწრებოდნენ დავით მელუა, ასევე ექსპერტები დავით ბარდიაშვილი, მიხეილ ჯიბუტი, დავით ბასიაშვილი და გაეროს განვითარების პროექტის ექსპერტი ალექსანდრე სვანიშვილი. ასევე რეგიონის მუნიციპალიტეტების მერები/გამგებლები და საკრებულოს თავმჯდომარეები

შეხვედრა გახსნა დავით მელუამ მან აღნიშნა, რომ საქართველოს ხელისუფლება აგრძელებს დეცენტრალიზაციას და ადგილობრივი დემოკრატიის განვითარებას და ამ მიზნით სამინისტროს (რეგიონული განვითარების და ინფრასტრუქტურის) ახალმა ხელმძღვანელობამ შექმნა სამუშაო ჯგუფი, რომელმაც უნდა მოამზადოს ცვლილებები საქართველოს ორგანულ კანონში “ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი”. დავით მელუამ აღნიშნა რომ, სამუშაო ჯგუფები იმუშავებენ 4 მიმართულებით, ესენია: მმართველობითი სისტემის და ფინანსური ეფექტიანობის გაზრდა, მოქალაქეთა მონაწილეობის გაზრდა ადგილობრივი თემების დონეზე, სამართლებრივი ზედამხედველობის სისტემის სრულყოფა და ადგილობრივი თვითმმართველობის შიდა ორგანიზაციული სტრუქტურის სრულყოფა. დავით მელუამ აღნიშნა რომ, მოწვეული ექსპერტები ყველა ამ მიმართულებაზე გააკეთებდნენ პრეზენტაციას და თვითმმართველობის წარმომადგენლებს სთხოვა გამოეთქვათ საკუთარი მოსაზრებები.

დავით ბარდიაშვილმა წარმოადგინა მოხსენება ტერიტორიული მართვის საკითხებზე და მათ შორის ცალკეული დასახლებული პუნქტებისთვის 2014 წელს თვითმმართველი ქალაქის სტატუსის მინიჭების გამოცდილების შესახებ (პრეზენტაცია იხილეთ დანართში).

დავით ბარბაქაძემ (ზესტაფონის საკრებულოს აპარატის უფროსი) აღნიშნა, რომ აუცილებელია თვითმმართველობას მიეცეს მეტი უფლებები, ფინანსები და ქონება. ასევე საჭიროა შესაბამისი ადმინისტრაციული უზრუნველყოფა.

მარეხი კენკაძემ წყალტუბოს მუნიციპალიტეტიდან აღნიშნა რომ მიწები და ადგილობრივი ტყე უნდა გადაეცეს ადგილობრივ ხელისუფლებას თუ არ გვინდა თვითმმართველობა მოსახლეობის მიერ უუფლებო ორგანოდ აღიქმებოდეს.

კობა ძიძიგურმა სამტრედიის საკრებულოს თავმჯდომარის მოადგილემ აღნიშნა, რომ შესაცვლელია შესყიდვების კანონი და თვითმმართველობას უნდა ჰქონდეს ელემენტარული შესყიდვების პირდაპირ განხორციელების უფლება. სამტრედიაში გამგეობის წინ უზარმაზარი ორმოა და ამ შესყიდვების კანონის გამო 3 წელია ვერ შევაკეთეთ, ხალხი უკვე პირში გვეძახის უმაქნისებს და უუნაროებს.

შემდეგი პრეზენტაცია გააკეთა მიხეილ ჯიბუტმა რაც შეეხებოდა სოფლად მოსახლეობის მონაწილეობის გაძლიერებას და სოფლებში ტერიტორიული ორგანოს დაბრუნებას და მრჩეველთა საბჭოს შექმნას.

აზრი გამოთქვა ნატალია სამთელაძემ (ზესტაფონის მუნიციპალიტეტის გამგეობა) და აღნიშნა რომ აუცილებელია ტერიტორიული ერთეულის ადმინისტრაციის შემოღება, ერთი კაცი ვერ აუდის საქმეს და შესაბამისად მმართველობა ეფექტიანდ ვერ ხორცილდება, ასევე აუცილებელია რომ მუნიციპალიტეტებს მიცეთ მეტი ფინანსები და მოწესრიგდეს სახელფასო ანაზღაურების საკითხი

მონაწილეებმა აღნიშნეს რომ სოფლებში ტერიტორიული ორგანოების შექმნა ერთობ გააიოლებს მართვის პროცესს, ასევე მოწონებულ იქნა მრჩეველთა საბჭოს როგორც ადგილობრივი საკონსულტაციო ორგანოს არსებობა.

ალექსანდრე სვანიშვილმა გააკეთა მოსხსენება სამართლებრივი ზედამხედველობის სისტემის ცვლილების შესახებ და აღნიშნა რომ ამ სისტემაში კვლავ ბრუნდება გუბერნატორის როლი და ფუნქცია რომელიც იქნება გამტარი რგოლი თვითმმართველობასა და ცენტრალურ ხელისუფლებას შორის.

მარიამ სანებლიძემ აღნიშნა რომ კარგი იქნება თუ თვითმმართველობას ეცოდინება ვინ არის მისი ზედამხედველი და ეს იქნება ერთი კონკრეტული ინსტიტუცია, თორემ ახლა ყველა აძლევს რეკომენდაციებს თვითმმართველობას თუ რა გააკეთოს. როგორც მაგალითი, ერთი თვის წინ მივიღეთ რეკომენდაციები სახალხო

დამცველისგან და რომ გავეცენით მათი შესრულება სცილდებოდა ჩვენს უფლებამოსილებას.

მონაწილეებმა აღნიშნეს, რომ გუბერნატორის აპარატში ზედამხედველობის ფუნქციის დაბრუნება მნიშვნელოვნად გააიოლებს თვითმმართველობის სამართლებრივი აქტების ზედამხედველობას და დიდ დროს დაზოგავს.

დავით ბარდიაშვილმა წარმოადგინა მოსაზრება ადგილობრივი ხელისუფლების ორგანოს სტრუქტურის მოდიფიკაციის და კოლეგიური ორგანოს გამგეობის შექმნის შესახებ (პრეზენტაცია იხილეთ დანართში).

მონაწილეებმა აღნიშნეს, რომ კოლეგიური ორგანიზაციის შემოღება მხოლოდ მაშინ იქნება გამართლებული თუ ის დაკომპლექტდება აღმასრულებელი შტოს განყოფილების უფროსებით და ვიცე მერებით.

დასკვნის სახით მონაწილეები შეთანხმდნენ რომ ასოციაციამ წარმოადგინოს საკუთარი წინადადებები დეცენტრალიზაციის შემდგომი გაღრმავების კუთხით და ასევე ითანამშრომლოს ხელისუფლებასთან რათა 7 ქალაქის სტატუსი იქნეს განხილული ინდივიდუალურად და ამ საკითხზე ასოციაციის აღმასრულებელმა საბჭომ გააკეთოს განცხადება რომელიც დაეფუძნება მუნიციპალიტეტების პოზიციებს,

ოქმის წარმოებაზე პასუხისმგებელი პირი

დავით მელუა